

ხარისხის კულტურის კომიტეტის 2018 წლის გაცხადება პერსონალის სამსახურში

მიღების პოლიტიკაზე

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე და ეფუძნება საკანონმდებლო და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მოთხოვნებს. სხვა თანამშრომელთა შერჩევის დროს, მნიშვნელოვანია შემდეგი დებულებებით ხელმძღვანელობა:

1. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში პერსონალის შერჩევა ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
2. პერსონალის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის მიღმაც და შიგნითაც. პერსონალის მოძიებისას უნივერსიტეტი უპირატესობას ანიჭებს შიდა კადრების წახალისებას, ვინაიდან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივირება კარიერული წინსვლის შესაძლებლობის მიცემით. თუმცა ახალი საშტატო ერთეულის შექმნის დროს უნივერსიტეტი ითვალისწინებს თანაბარი შესაძლებლობებისა და კონკურენტული გარემოს საჭიროებას, რაც ახალი კადრების მოძიებით გამოიხატება;
3. პერსონალის სამსახურში აყვანის მიზნით შესაძლებელია კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ღონისძიების, მიდგომისა და მათი კომბინაციის ისეთი შერჩევა, რომელიც კონკრეტულ მომენტში ყველაზე მეტად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს;
4. გამონაკლისის სახით, დასაშვებია თანამშრომლის კონკურსის გარეშე აყვანა ან გადაყვანა პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების თანაზომიერად.